

F-171
1984



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა

ISSN 0206-2674

და

ინსტრუქციათა

თბილისი
1984

კრებული

მეხსი

№ 6

ИЮНЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК
ПРИКАЗОВ
И

ТБИЛИСИ
1984

ИНСТРУКЦИЙ



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის
1984 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის რიგი ქალაქებისა და რაიონების ზოგადსაგანმანათ-
ლებლო სკოლებში ბერძნული ენის სწავლების
მდგომარეობისა და გაუმჯობესების
ლონისძიებათა შესახებ

6965-7

განიხილა რა სკოლების სამმართველოს ინფორმაცია „რესპუბლი-
კის რიგი ქალაქებისა და რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებ-
ში ბერძნული ენის სწავლების მდგომარეობის შესახებ“, კოლეგიამ
გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

1. სკოლების სამმართველოს ინფორმაცია „რესპუბლიკის რიგი
ქალაქებისა და რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბერძ-
ნული ენის სწავლების მდგომარეობის შესახებ“ მიღებულ იქნას ცნობად
(თან ერთვის).

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა,
ქ. ქ. თბილისის, რუსთავის, მარნეულის, წალკის, თეთრი წყაროს, ბორ-
ჯომის, დმანისის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა:

2. 1. სისტემატური კონტროლითა და დახმარებით, გაკვეთილებზე
მასწავლებელთა ურთიერთდასწრებით და დაგროვილი დადებითი გამო-
ცდილების პრაქტიკაში ფართოდ დანერგვით უზრუნველყონ ბერძნული
ენის სწავლებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება;

2. 2. სკოლებში საგნის სწავლების მდგომარეობაზე მუდმივი კონ-
ტროლისა და დახმარების განხორციელების მიზნით სპეციალისტი მას-
წავლებლებიდან შეარჩიონ საგნის მცოდნე, ენერგიული მუშაკები, რო-
მელნიც საზოგადოებრივ საწყისებზე წარმართავენ ბერძნული ენის
მასწავლებლებთან მეთოდურ მუშაობას.

3. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშა-
ობის დარგში დირექტორის მოადგილეებმა აქტივის გამოყენებით განა-
ხორციელონ კონტროლი ბერძნული ენის მასწავლებელთა მუშაობაზე.

4. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ლლონტი) უზრუნ-
ველყოს ბერძნული ენის სახელმძღვანელოებისა და სხვა დამხმარე,
სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის როტაპრინტზე გამრავლება და
სკოლებამდე დაყვანა.

5. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვარნაძე), მასწავლებელთა და-
ხელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან ერთად (ამხ. გ. გვათუა) ად-
გილობრივი მოთხოვნების გათვალისწინებით განაგრძოს ბერძნული
ენის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

6. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეცია-
ლური განათლების სამინისტროს ყოველწლიურად მოამზადოს კლასი-

ს.ქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

კური და ახალბერძნული ფილოლოგიისა და რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით 5-5 პედაგოგი.

7. სკოლების სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი) განახორციელოს კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი **ო. ქინქლაძე**

2022-7

საქართველოს
საგანმანათლებლო
საზოგადოებრივი
წიგნობის
მინისტრო



ინფორმაცია

რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბერძნული ენის სწავლების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1981 წლის 28 აგვისტოს № 531 ბრძანების შესაბამისად 1981 წლის 1 სექტემბრიდან რესპუბლიკის თორმეტ რეგიონში: ქ. ქ. თბილისში, რუსთავეში, სოხუმში, ბათუმში, მარნეულში, ქობულეთის, ხელვაჩაურის, წალკის, თეთრი წყაროს, ბორჯომის, მარნეულის, დმანისის რაიონებში, სადაც ბერძენი მოსახლეობა ცხოვრობს, მათი შვილებისათვის IV კლასიდან უცხოურ ენად შემოღებულ იქნა ბერძნული ენის სწავლება.

განათლების სამინისტროს ზემოხსენებული ბრძანების შესასრულებლად წინასწარ ჩატარებულ იქნა მოსამზადებელი სამუშაოები: სსრკ განათლების სამინისტროს მიერ მომზადდა ბერძნული ენის პროგრამა IV-X კლასებისათვის, IV კლასის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი და მასწავლებლის წიგნი (ავტორი მ. ლ. რიტოვა). ყველა რეგიონში შერჩეულ იქნა ბერძნული ენის მასწავლებლად სხვადასხვა სპეციალობის 56 მასწავლებელი, რომლებმაც იციან ბერძნული ენა და ჩუტარდნათ დახელოვნების კურსები. კურსების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის ინსტიტუტის, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბალკანისტიკის ინსტიტუტის სპეციალისტებმა და საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტროს მეთოდისტებმა. 1981 წლიდან მოყოლებული, წელიწადში ორჯერ — იანვარსა და ივლისში უკვე ექვსჯერ ჩატარდა მასწავლებელთა დახელოვნების კურსები სოხუმში, ბათუმსა და თბილისში. ამ პერიოდშივე ამხ. მ. რიტოვა შეადგინა და რიტაპრინტზე გამრავლებული დაურიგა სკოლებს V-VI კლასების სახელმძღვანელოები და მეთოდური წიგნები მასწავლებელთათვის. ამჟამად უკვე მზად არის VII კლასის სახელმძღვანელოს I ნაწილი.

სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და სსრკ განათლების სამინისტროს 1981 წლის 27 ივლისის № 77/118 ერთობლივი ბრძანებით სახელმძღვანელოს ავტორს ამხ. ვ. კ. როზოვსა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. ვ. გორელოვს ევალებოდათ მოემზადებინათ სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა. სახელმძღვანელოების გარდა, დღეისათვის უკვე ჩაბარებულია საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტროში ამხ. ვ. ვ. სოკალუკის მიერ მომზადებული კლასგარეშე საკითხავი წიგნი IV კლასისათვის „იკითხეთ ბერძნულად“.

იგივე ავტორმა მოამზადა პიესების, დიალოგებისა და ლექსების კრებული, ასევე უფროსკლასელებისათვის ითარგმნა ბერძნულ ენაზე ზღაპრები და მოთხრობები.

ბერძნული ენის IV კლასის სახელმძღვანელო (ავტორი მ. ლ. რიტოვა) რეცენზირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხმელთაშუაზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიის მიერ. იგი განათლების სამინისტრომ გადაგზავნა გამომცემლობაში ჯერ კიდევ 1983 წლის 22 დეკემბერს, გამოძენილია ბერძნული ენის მცოდნე ასოთამწყობიც, მაგრამ დღემდე წიგნი გამომცემლობაში დევს. სკოლაში IV კლასის სახელმძღვანელო აღარ აქვთ, ვინაიდან გამომცემლობაში ფოლგები გადადნეს, მაგრამ სსრ კავშირის განათლების სამინისტრო დაგვიბრდა ახალი ფოლგების გამოგზავნას და შესაძლებლობა მოგვეცემა გავამრავლოთ.

1981—1982 სასწავლო წლიდან მოსკოვის ოლქის ნ. კ. კრუპსკაიას სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში სამი სასწავლო წლის განმავლობაში კონკურსგარეშე ჩაირიცხა და ამჟამად 42 სტუდენტი სწავლობს ბერძნული და ინგლისური ენების ფაკულტეტზე. მოსკოვში ჩასვლით შემოწმიდა მათი სწავლებისა და ცხოვრების პირობები. სტუდენტთა სწავლებასა და ქცევას შესაბამისი კათედრები და დეკანატი დადები-
თად აფასებენ.

მომავალ, 1984—1985 სასწავლო წლიდან საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ გადაწყვიტა შეეწყვიტა მოსკოვის ოლქის ნ. კრუპსკაიას სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩვენი აბიტურიენტების ჩარიცხვა. განზრახული გვაქვს ვთხოვოთ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მოგვიზადოს ყოველწლიურად კლასიკური და ახალი ბერძნული ფილოლოგიისა და რუსული ენისა და ლიტერატურის 5-5 სპეციალისტი.

როგორც აღვნიშნეთ, 1981—1982 სასწავლო წლიდან დასახელებული რეგიონების 54 სკოლის IV-VI კლასებში ბერძნულ ენას, როგორც უცხოურ ენას, 3596 მოსწავლე სწავლობს.

იმისათვის, რომ გავვერკვია, როგორ ხორციელდება ადგილებზე ბერძნული ენის სწავლების მიმდინარეობაზე კონტროლისა და დახმარების ორგანიზაცია, შემოწმიდა ყველა რეგიონის, ასსრ განათლების სამინისტროების, განათლების განყოფილებათა, სკოლის დირექციებისა და 44 სკოლის 50 მასწავლებლის მუშაობა.

ზემოხსენებული რეგიონებიდან მხოლოდ აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს აქვს შემოწმებული ბერძნული ენის სწავლების მდგომარეობა ქ. სოხუმის 4 სკოლაში. საკითხი მოსმენილია კოლეგიის სხდომაზე 1984 წლის 31 იანვარს. მიღებულია სათანადო გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია, რომ წალკის რაიონის 27 რეაწლიანსა და საშუალო სკოლის 99 კლასში ბერძნულ ენას 1899 მოსწავლე ეუფლება. აქ ამ ენის სწავლება უკვე მესამე წელია მიმდინარეობს, მაგრამ განათლების განყოფილებას არც ერთხელ არ შეუძომწმებია საგნის სწავლების მდგომარეობა, არც მასწავლებლებისათვის გაუწევია მეთოდური დახმარება. ადგილებზე კი შეიძლებოდა შეერჩიათ საგნის მცოდნე საუკეთესო მასწავლებლები, რომლებიც წარმატებით შეასრულებდნენ აღნიშნულ სამუშაოს.

ზოგი რაიონის ცალკეულ სკოლებში დირექტორებსა და მათ მოადგილეებს სასწავლო-აღმზრდელი მუშაობის დარგში მოსმენილი აქვთ ბერძნული ენის გაკვეთილები, მაგრამ მათი ანალიზი, ენის უცოდინარობის გამო, იშვიათი გამონაკლისის გარდა (წალკის რაიონის გუნიაკალის საშუალო სკოლის დირექტორი ა. პ. კელასოვი, გუმბათის საშუალო სკოლის დირექტორი შ. გ. ჩაფჩევი, ავრანლოს საშუალო სკოლის დირექტორი ხ. პ. დემურჩევი, თეთრი წყაროს რუსული საშუალო სკოლის დირექტორი ა. ი. კარსლიევი), უბრალოდ გაკვეთილის აღწერა და ვერ უწევს კვალიფიციურ კონტროლსა და დახმარებას.

შესწავლილი სკოლების ერთ ნაწილში ბერძნული ენის სწავლებისათვის შექმნილია კაბინეტები, კლასკაბინეტები და, სადაც ეს ვერ მოხერხდა, კუთხეები. ყველა მასწავლებელი, მცირე გამონაკლისის გარდა, ცდილობს თავის მუშაობაში გამოიყენოს თვითნაკეთი ცხრილები, სურათები და სხვა.

მასწავლებელთა მუშაობის შესწავლის მიზნით გაკვეთილებზე დასწრებამ დამაკმაყოფილებელი შედეგი მოგვცა. მათი უმრავლესობა გაკვეთილს ბერძნულ ენაზე ატარებს, სისტემატურად მუშაობს მოსწავლეებში სწორი მეტყველების გამოსამუშავებლად, ასწორებს მახვილებსა და ინტონაციებს, იმუშავებს მოსწავლეებში სწორი კითხვისა და წერის კულტურას, სისტემატურად ასწორებს საკლასო-საშინაო დავალების რვეულებს, მუშაობაში იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს — დიალოგურ და მონოლოგურ მეტყველებას, რის შედეგადაც მოსწავლეებს ბერძნული ენის დამაკმაყოფილებელი ცოდნის დონე აქვთ. კარგი მუშაობით გამოირჩევიან ისეთი მასწავლებლები, როგორებიც არიან: ა. ჩეპიდი (ქ. რუსთავი), ო. ჩომიდი, ქ. სარაკანდი (ქ. სოხუმი), მ. იალანჩიდი, ს. კუსიდი (ქობულეთის რაიონი), ს. კუსუნოვი, ა. მიხაილოვა, ა. მურატიდი (წალკის რაიონი), ა. ცირიპიდი, კ. ვასილიადა (თეთრი წყაროს რაიონი), ე. კონკოლიდი (მარნეულის რაიონი) და სხვა.

ამასთან, არიან მასწავლებლები, რომლებმაც ენა დამაკმაყოფილებლად იციან, მაგრამ სათანადო მონდომებას არ იჩენენ, არ ამზადებენ გრამატიკულ ცხრილებს, თვალსაჩინოებას, არ ასწორებენ საკლასო-

საშინაო დაგალები რვეულებს. ყოველივე ეს დაღს ასვამს მოსწავლეთა ცოდნას და მომავალში სპეციალისტებს გაუჭირდებათ ამ ხარვეზების გასწორება. მათი მუშაობის საჭირო დონეზე დაყენებას კი სკოლის დირექტორების თანმიმდევრული კონტროლი დიდ დახმარებას გაუწევდა.

სკოლების სამმართველო

Р Е Ш Е Н И Е КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

О состоянии обучения греческому языку в общеобразовательных школах ряда городов и районов республики и мерах его улучшения

24 марта 1984 года

Заслушав информацию Управления школ «О состоянии обучения греческому языку в общеобразовательных школах ряда городов и районов республики», коллегия р е ш а е т:

1. Принять к сведению информацию Управления школ «О состоянии обучения греческому языку в общеобразовательных школах ряда городов и районов республики» (прилагается).

2. Министерством просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделам народного образования г. г. Тбилиси, Рустави, Цалкского, Тетрицкаройского, Боржомского и Дманисского районов:

2. 1. систематически принимать действенные меры для устранения недостатков, имеющихся в обучении греческому языку путем осуществления постоянного контроля, оказания методической помощи, взаимопосещения уроков и широкого внедрения в практику накопленного положительного опыта;

2. 2. с целью осуществления постоянного контроля и помощи в обучении этого предмета в школах, подобрать из числа учителей специалистов, энергичных работников, владеющих предметом, которым под силу осуществлять на общественных началах методическую работу с преподавателями греческого языка.

3. Директорам школ и заместителям директоров по учебно-воспитательной работе с привлечением актива осуществлять контроль за работой учителей греческого языка.

4. Управлению учебников (тов. Глонти Н.) обеспечить размножение на ротапринте и доведение до школ учебников греческого языка и другой вспомогательной учебно-методической литературы.

5. Управлению кадров (тов. Вачнадзе А.) совместно с Центральным институтом усовершенствования учителей (тов. Гватуа Г.) с учетом местных требований, продолжить повышение квалификации учителей греческого языка.

6. Просить Министерство высшего и среднего специального образования ежегодно готовить по 5 учителей по специальностям классической и новогреческой филологии и русского языка и литературы.

7. Управлению школ (тов. Татишвили Т.) осуществить контроль за выполнением настоящего решения.

Председатель коллегии,
Министр О. Д. Кинкладзе

И Н Ф О Р М А Ц И Я

о состоянии обучения греческому языку в общеобразовательных школах ряда городов и районов республики

В соответствии с приказом Министерства просвещения Грузинской ССР № 531 от 28 августа 1981 года с 1-го сентября 1981 года в двенадцати регионах республики: г. г. Тбилиси, Рустави, Сухуми, Батуми, Марнеули, Кобулетском, Хелвачаурском, Цалкском, Тетрицкарском, Боржомском, Марнеульском районах, для детей греческого населения с IV класса введено обучение греческому языку, как иностранному.

Во исполнение вышеназванного приказа Министерства просвещения была проведена предварительная работа: Минпросом СССР были подготовлены программа греческого языка для IV—X классов, I часть учебника IV класса и книга для учителя (автор Рытова М. Л.), во всех регионах учителями греческого языка были подобраны 56 учителей разных специальностей, которые владеют греческим языком и прошли курсы усовершенствования. В работе курсов принимали участие специалисты Московского института международных отношений Министерства иностранных дел СССР, Института балканистики Академии наук СССР и методисты Минпроса СССР.

Начиная с 1981 года, два раза в год — январе и июле уже шесть раз проводились курсы усовершенствования учителей в г. г. Сухуми, Батуми и Тбилиси. В этот же период тов. Рытовой М. были составлены и разосланы школам размноженные ротاپринтным способом учебники V-VI классов и методические книги для учителей. В настоящее время уже готова I часть учебника VII класса.

Совместным приказом Министерства высшего и среднего специального образования СССР и Минпроса СССР № 77/118 от 27 июля 1981 года автору учебника тов. Розову В. К. и председателю научно-методического совета Минпроса СССР тов. Горелову В. В. было поручено подготовить учебно-методическую литературу. Помимо учебников, на сегодняшний день уже сдана в Минпрос СССР подготовленная тов. Сокалуком В. П. книга для внеклассного чтения в IV классе «Читайте по-гречески». Этим же автором подготовлен сборник пьес, диалогов и стихов, а также для старшеклассников переведены на греческий язык сказки и рассказы.

Учебник греческого языка для IV класса (автор Рытова М. Л.)

рецензирован Лабораторией по исследованию культур средиземноморья Тбилисского Государственного университета. Настоящий учебник Минпросом передан в издательство еще 22 декабря 1983 года, был найден и наборщик, владеющий греческим языком, но книга по сей день лежит в издательстве. Школы больше не имеют учебника для IV класса, так как в издательстве фольги были переплавлены, Минпрос СССР обещал выслать новые фольги, что даст возможность размножить учебники.

С 1981—1982 учебного года в Московском областном педагогическом институте имени Крупской Н. К. за три учебных года внеконкурса было зачислено и по сей день учатся на факультете греческого и английского языков 42 студента. На месте были изучены условия их учебы и жизни. Соответствующие кафедры и деканат учебу и поведение студентов оценивают положительно.

Минпрос ГССР решил с 1984—1985 учебного года прекратить внеконкурсный прием наших абитуриентов в Московский областной педагогический институт им. Крупской Н. К. Предполагается просить Министерство высшего и среднего специального образования ГССР готовить нам ежегодно по 5 специалистов классической и новогреческой филологии и русского языка и литературы.

Как отмечалось выше, с 1981—1982 учебного года греческий язык, как иностранный язык изучают 3596 учащихся IV-VI классов 54-х школ вышеперечисленных регионов.

С целью определения уровня осуществления контроля за ходом проверена работа всех регионов, Минпросов АССР, отделов народного образования, дирекций школ и 50-ти учителей 44-х школ.

Из названных выше регионов лишь Минпросом Абхазской АССР проверено состояние преподавания греческого языка в 4-х школах г. Сухуми. Вопрос заслушан на заседании коллегии 31 января 1984 г. Принято соответствующее решение.

Следует отметить, что в 99-ти классах 27-ми восьмилетних и средних школ Цалкского района греческим языком овладевают 1899 учащихся; здесь этому предмету обучаются уже третий год, но несмотря на это, отдел народного образования ни разу не проверил состояние обучения и не оказал методической помощи учителям. На местах же можно было подобрать владеющих этим предметом наилучших учителей, которые успешно справились бы с этой работой.



В отдельных школах некоторых районов директорами и их заместителями по учебно-воспитательной работе прослушаны уроки греческого языка, но их анализы, из-за незнания языка, кроме редких исключений (из Цалкского района директор средней школы села Гуниакала Келасов А. П., директор средней школы села Гумбати Чапчев Ш. В., директор средней школы села Авранло Демурчев Х. П., директор русской средней школы Тетрицкаройского района Карслиев А. И.), являются простым описанием урока и не служат делу оказания квалифицированной методической помощи учителям. В отдельных проверенных школах созданы кабинеты греческого языка, класскабинеты, а там, где это было невозможно — уголки. Все учителя, кроме редкого исключения, стараются использовать в работе самодельные таблицы, картины и др.

Посещение уроков с целью изучения работы учителей дало удовлетворительный результат. Большинство из них уроки проводят на греческом языке, систематически работает над выработкой у учащихся правильной разговорной речи, поправляет ударения и интонацию, прививает учащимся культуру правильного чтения и письма, систематически исправляет тетради классных работ и домашних заданий, в работе использует современные методы обучения — диалогическую и монологическую речь, в результате чего уровень знаний учащихся по греческому языку удовлетворительный. Хорошей работой отличаются такие учителя, как Чепиди А. (г. Рустави), Чомиди О., Сараканди К. (г. Сухуми), Иаланчиди, Кусиди С. (Кобулетский район), Кусунов С. Михайлова А., Муратиди А. (Цалкский район), Цирипиди А., Василиади К. (Тетрицкаройский район), Конколиди Е. (Марнеульский район) и др.

Определенная часть учителей владеет языком удовлетворительно, но не проявляет должного усердия. при подготовке к урокам, не готовит грамматических таблиц, наглядность, не исправляет тетрадей классных работ и домашних заданий. Все это отрицательно влияет на уровень знаний учащихся и, конечно же, в дальнейшем специалистам будет трудно восполнить пробелы. Улучшению работы учителей сможет способствовать осуществление систематического контроля со стороны директоров школ с использованием актива учителей греческого языка.



**საქართველოს სსრ ცეკავშირის გამგეობისა და საქართველოს
სსრ ბანათლების სამინისტროს კოლექტივის 1984 წლის
28 მარტის დადგენილება**

**ცეკავშირის მომსახურების ზონაში არსებული საშუალო და
რვაწლიანი სკოლების მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის
მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების
ღონისძიებათა შესახებ**

აღინიშნოს, რომ სისტემის კოოპერაციულ ორგანიზაციათა გამგეობებმა და განათლების რაიონულმა განყოფილებებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლების მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად. მთელ რიგ სკოლებში გაიხსნა ახალი თანამედროვე ტიპის სასადილოები და ბუფეტები, გაიზარდა ადგილების რაოდენობა, სასკოლო კვების ობიექტები შეივსო დანადგარ-მოწყობილობებით, წვრილი ინვენტარით, საგარეჯოსა და ხელვაჩაურის რაიონებში გაიხსნა სასკოლო კვების კომბინატები, გაფართოვდა კერძების ასორტიმენტი, ბევრ რაიონში დაინერგა აბონემენტებით ვაჭრობა და სხვა.

მაგრამ, მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 27 მაისის № 354 დადგენილება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. მარტო 1983 წელს სასკოლო კვების ობიექტებში ადგილები გაიზარდა 2662 ერთეულით, ნაცვლად გვევლით გათვალისწინებული 5000-სა, ხოლო მე-11 ხუთწლიდის 3 წელიწადში აღნიშნული დავალება შესრულდა 40%-ით, რის შედეგადაც დასაჯდომი ადგილებით უზრუნველყოფა, მოსწავლეთა მაქსიმალურ ცვლაზე გაანგარიშებით, 41,3%-ს შეადგენს, ცხელი კერძებით კი იკვებება მოსწავლეთა 39,1%. ამასთანავე, 500-მდე სკოლას, ანუ სისტემის მომსახურების ზონაში არსებული სკოლების 23%-ს, არ გაჩანია კვების ობიექტი.

ცუდი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვთ გარდაბნის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, მანგლისის, წალკის, თეთრი წყაროს, ახალქალაქის, ბოგდანოვიკის, ზნაურის, ყვარლის, წითელწყაროს და სხვა რაიონების სასკოლო კვების ბლოკებს. მარტო გარდაბნის რაიონში, სადაც 29 საშუალო და რვაწლიანი სკოლაა 19735 მოსწავლით, ადგილებით უზრუნველყოფა 13,4%-ს შეადგენს; ორჯონიკიძის რაიონში იგივე მაჩვენებელი 11,5%-ია. ანალოგიური მდგომარეობაა მარნეულის, თეთრი წყაროს, ახალქალაქის, ბოგდანოვიკის, ზნაურის, ყვარლის, წითელწყაროსა და სხვა რაიონების სკოლებში.

ცუდი მდგომარეობაა მოსწავლეთა კვებით მოძახეობების ძალი-
ვაც. სასკოლო სასადილოებში და ბუფეტებში არ იცავენ კერძების სა-
ვალდებულო ასორტიმენტს, ყოველდღიურად არ ღვება მენიუ, კერძების
რეალიზაციის აქტები, არადამაკმაყოფილებელია სანიტარიულ-ჰიგიე-
ნური მდგომარეობა.

ასე მაგალითად, მანგლისის საშუალო სკოლის სასადილო მოთავე-
სებულთა პავილიონის ტიპის მცირე ფართობის შენობაში, სადაც მოს-
წავლეთა გარდა სხვა მომხმარებლებიც იკვებებიან. სასადილო ნაკლე-
ზად მარაგდება რძით და რძის პროდუქტებით, საკონდიტრო ნაწარმით,
ყოველდღიურად არ ღვება კერძების რეალიზაციის აქტები, დაცული
არ არის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა.

წალკის რაიონის სოფელ ბეშთაშენის საშუალო სკოლას ესაჭიროე-
ბა 75 ადგილიანი სასადილო, ფაქტიურად გახსნილია 8 კვმ ფართობის
ბუფეტი, გაყვანილი არ არის წყალი. რეალიზაციაში იყო საკონდიტრო
ნაწარმი, ხილის კამფეტი, ნამცხვარი, ძეხვი, ლიმონათი, რაც უწყსრი-
ვოდ ეყარა თვითნაკეთ თაროებზე.

წითელწყაროს 1-ლ საშუალო სკოლაში, სადაც 751 მოსწავლეა,
სასადილო მოთავსებულია სარდაფში 28 ადგილზე. არ გააჩნია დამხმა-
რე სათავსოები. შემოწმებისას არ იყო შედგენილი მენიუ, დაცული არ
იყო კერძების სავალდებულო ასორტიმენტი, სასადილო წყვეტილობით
მარაგდება ბოსტნეულით, საქონლის ხორციით, რძით და რძის ნაწარმით.

წითელწყაროს რუსული საშუალო სკოლის სასადილოში სრულყო-
ფილად არ ივსება მენიუ, ცხელი კერძი „სუპ-ხარჩო“ მზადდება ძვე-
ლი კალკულაციით.

ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის 1-ელ საშუალო სკოლას,
მართალია, გააჩნია ახალი კეთილმოწყობილი სასადილო, მაგრამ მიუ-
ხედავად ამისა, შემოწმების პერიოდში სასაწყობო სათავსებში 3 კგ ხან-
ვისა და კარტოფილის მეტი არაფერი ინახებოდა. ობიექტი არ იცავს
კერძების სავალდებულო ასორტიმენტს, არ იყო შედგენილი მენიუ,
კერძების რეალიზაციის აქტები, არ არის ტალღონებით კვება.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა ზნაურის, ვანის, სიღნაღის,
საგარეჯოს, თეთრი წყაროს და სხვა რაიონების სასკოლო სასადილო-
ებსა და ბუფეტებში.

შექმნილი მდგომარეობა შედეგია იმისა, რომ სისტემის კოოპერა-
ციულ ორგანიზაციათა გამგეობები და განათლების რაიონული განყო-
ფილებები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლების მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის საკითხებს, არ ატარებენ
გადამჭრელ ღონისძიებებს სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების მა-
ტერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის, კვებითი მომსახურე-
ბის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ ცეკავშირის გამგეობამ და საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროს კოლეგიამ და ა დ გ ი ნ ე ს :

1. დაევალოს სისტემის კოოპერაციულ ორგანიზაციათა გამგეობებს და განათლების რაიონულ გახყოფილებებს:

— მიიღონ ქმედითი ზომები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, განახორციელონ რადიკალური ღონისძიებები სასკოლო დაწესებულებებში საზოგადოებრივი კვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების ქსელის გაფართოებისათვის, მოსწავლეთა კვებით მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

— გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია წარმოუდგინონ საქართველოს სსრ ცეკავშირის გამგეობას და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას მიმდინარე წლის 20 აგვისტოსათვის.

2. დაევალოს სისტემის კოოპერაციულ ორგანიზაციათა გამგეობებს:

— პირველ რიგში უზრუნველყონ სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების შეუფერხებელი მომარაგება მოსწავლეთათვის გახკუთვნილი ასორტიმენტის კვების პროდუქტებით.

— მიიღონ საჭირო ზომები სკოლებში კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, უზრუნველყონ მოსწავლეთა ხარისხიანი, მრავალფეროვანი და მაღალკალორიული კვება, გააძლიერონ სასკოლო კვების ობიექტების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა კერძების ასორტიმენტისა და ხარისხისათვის, მისი მომზადების ტექნოლოგიის განუხრელი დაცვისა და ობიექტების სანიტარიული მდგომარეობისათვის.

— განუწყვეტილად აამაღლონ მოსწავლეთა მომსახურების კულტურა, მოამარაგონ სასკოლო კვების ობიექტები საკმარისი რაოდენობის აბონემენტებით, აღკვეთონ ვაჭრობის წესების დარღვევის, მოსწავლეთა ანგარიშსა და წონაში მოტყუების ფაქტები.

— აღჭურვიონ სასკოლო სასადილოები და ბუფეტები საკმარისი რაოდენობის წვრილი ინვენტარითა და ჭურჭლით.

— სასკოლო კვების ობიექტები დააკმაყოფილონ ბავშვთა კვების საკითხების კარგად მცოდნე სპეციალისტებით, სისტემატურად აუმაღლონ მათ კვალიფიკაცია და დროულად გადახედონ მათთვის საკვალიფიკაციო თანრიგების მინიჭების საკითხებს.

— მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის რადიკალურად გაუმჯობესების მიზნით, არსებული საზოგადოებრივი კვების ქსელის ბაზაზე შეარჩიონ ობიექტი სასკოლო კვების კომბინატად ან სასკოლო საბაზო სასადილოდ გადასაკეთებლად.

3. დაევალოს წითელწყაროს კოოპერაციული ორგანიზაციის გამგეობას საზოგადოებრივი კვების გაერთიანების ახლად გახსნილი საკონდიტრო საამქრო გადააკეთოს სასკოლო კვების კომბინატად და უზრუნველყოს რაიონის სასკოლო სასადილოების და ბუფეტების მომარაგება იქ დამზადებული I და II თავი კერძებით.

გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია წარმოუდგინოს საქართველოს სსრ ცეკავშირის გამგეობას 1984 წლის 25 აპრილისათვის.

4. დავალოს განათლების რაიონულ განყოფილებებს:

6985-7

— შეიმუშაონ დამატებითი ღონისძიებანი სასკოლო კვების ობიექტებში დასაჯდომი ადგილების ზრდის საქმეში არსებული ჩამორჩენის შესახებ, მიიღონ ემედიით ზომები მოსწავლეთა კვების ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის, მყ-11 ხუთწლედში სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების დასაჯდომი ადგილების გადიდების დაწესებულ დავალებათა უდავო შესრულებისათვის.

— საჭაფულო არდადეგების პერიოდში ჩაატარონ სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, უზრუნველყონ ისინი საჭირო ფართობის დამზარე სათავსოებითა და სამკროებით, სასაწყობო სათავსებით, გამდინარე ცივი და ცხელი წყლით, კახალიზაციით.

— დააწესონ მკაცრი კონტროლი მოსწავლეთა კვების ორგანიზაციისადმი, დროულად მიიღონ საჭირო ზომები ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. კოოპერაციულ ორგანიზაციათა გაძვეობებს გაუწიონ პრაქტიკული დახმარება სასკოლო კვების ობიექტების მუშაობის გაუმჯობესებაში.

— შეიქმნაონ და განახორციელონ ღონისძიებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან სასწავლო-საცდელი ნაკვეთების შესაქმნელად. იმ ვარაუდით, რომ აღნიშნულ ნაკვეთებზე მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტები გამოიყენონ მოსწავლეთა კვების გათვალისწინებით.

— სასკოლო კვების ობიექტების ძელმძღვანელებთან ერთად სისტემატურად აწარმოონ კვირეული მენიუები. უზრუნველყონ ყველგან წლის ბოლომდე მოსწავლეთა კვებისათვის ანგარიშსწორების საბოხემეტო სისტემის დადგენა.

— გადაჭოით გააძლიერონ სკოლის დირექტორების პასუხისმგებლობა მოსწავლეთა კვების მდგომარეობისადმი. მკაცრი პასუხი მოსთხოვონ მათ საქმეში დაშვებული ნაკლოვანებებისათვის, ფართოდ მიიზიდონ სასკოლო კვების ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის პედაგოგები, ძმრომელთა კომიტეტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, უზრუნველყონ პედაგოგიური საბჭოების სხდომებსა და მშრომელთა კრებებზე სასწავლებლებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების ხელმძღვანელთა ახგაიომების პერიოდული გახხილვა.

5. ცეკავშირის საზოგადოებრივი კვების სამმართველომ (აძხ. ვ. ჯახჯღავა) და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (აძხ. თ. ტატიშვილი) პერიოდულად გადაამოწმონ აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და მოსწავლეთა

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
გიგლიო თმაკა

კვების ორგანიზაციის საქმეში გაძოვლენილი დარღვევების ერთი ფაქტის შემთხვევაშიც კოოპერაციული ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის და განათლების რაიონული განყოფილების გამგის პასუხისმგებლობის საკითხი გამოიტანონ ცეკავშირის გამგეობის და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე.

ნ. აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. გ. მარდანიძეს და საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. მ. კობახიძეს.

საქართველოს სსრ ცეკავშირის
გამგეობის თავმჯდომარე
კ. შავიშვილი

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ო. ქინქლაძე**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1984 წლის
30 მარტის ბ რ ძ ა ნ ე ჯ ა № 218

უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების 1982 წლის
კურსდამთავრებულ ახალგაზრდა მასწავლებელთა
ათთვიანი სტაჟირების ჩატარების შედეგების
შესახებ

1982—1983 სასწავლო წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათ-
ლებლო სკოლებში, სკოლამდელ და სხვა სასწავლო-აღმზრდელობით
დაწესებულებებში განაწილდა 1163 უმაღლესი და საშუალო სპეციალ-
ური განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელთაგან
სტაჟირება გაიარა და დადებითი შეფასება მიიღო 764.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, ადგილობრივ განათ-
ლების ორგანოებთან ერთად, დიდ მუშაობას ატარებს ახალგაზრდა
მასწავლებლების სამუშაოზე დამაგრებისა და სტაჟირების გავლის
სრულყოფილად ჩატარებისათვის. ადგილებზე სკოლის დირექტორები
და მათი მოადგილეები ახალგაზრდა მასწავლებლებს საჭირო პირო-
ბებს უქმნიან სტაჟირებისათვის შედგენილი ინდივიდუალური სამუშაო
გეგმის სრულყოფილად შესრულებისათვის. სტაჟიორს აცნობენ სასწავ-
ლო დაწესებულებებს, შეინაგანაწესს, პედაგოგიურ კოლექტივს, შესაბა-
მისი სპეციალისტის მასწავლებლებიდან ნიშნავენ უშუალო ხელმძღვა-
ნელს, რომელიც კონტროლს უწევს მათი საზოგადოებრივი და პედაგო-
გიური მუშაობის მიმდინარეობას, ხოლო შემდგომ ხელმძღვანელი შე-
საბამისი კომისიის სხდომაზე აჯამებს, ანგარიშს აკეთებს და აფასებს
სტაჟიორს, სახავს საჭირო ღონისძიებებს ახალგაზრდა მასწავლებლებ-
თან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

როგორც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში რაიონე-
ბიდან წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, ახალგაზრდა სპეციალისტთა
ათთვიან სტაჟირებას პასუხისმგებლობით მოეკიდნენ აჭარისა და აფხა-
ზეთის ასსრ განათლების სამინისტროები, ქ. ქ. ტყიბულისა და წყალ-
ტუბოს, აბაშის, ამბროლაურის, ახალქალაქის, ზუგდიდის, ლანჩხუთის,
მცხეთის, მახარაძის, საგარეჯოს, ცაგერის რაიონების, განათლების გან-
ყოფილებები. უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ასსრ განათლების სამი-
ნისტრო (ამხ. ვ. წულუკიძე) დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა
სპეციალისტებთან მუშაობას და მათ დახელოვნებას, აქ წესად არის
დამკვიდრებული ახალგაზრდა სპეციალისტებთან სასწავლო წლის და-
საწყისში, მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციებზე საზეიმო შეხვედ-
რები, მათი მასწავლებლად კურთხევა, შრომის წიგნაკების გადაცემა,
სტაჟირების დებულების, სასტაჟიორო პროგრამებისა და მათ წინაშე
მდგარი ამოცანების გაცნობა. სტაჟირების შედეგების მიხედვით სასტა-

ყოირო პრაქტიკა გავლილად ჩაეთვალა 106 ახალგაზრდა მასწავლებელს, 10 სპეციალისტს სტაჟირება არ ჩაეთვალა (მათგან მ. ე. შარაძეს, დ. ჯ. კახიძეს სტაჟირება გადაევადათ დეკრეტულ შევებულებაში, ხოლო ნ. ა. თავდგირიძეს — დიდი დროით შრომის უუნარიობის ფურცელზე ყოფნის გამო, 7 ვაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში).

აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროში სტაჟირება გაიარა და დადებითი შეფასება მიიღო 134 ახალგაზრდა მასწავლებელმა. კარგად შესაბამისად თსუ კურსდამთავრებულები რ. ჩიტეიშვილი (აბაშის რაიონი), მ. კვახაძე, ქ. ჩოჩია, დ. თოფჩიშვილი, ნ. ბიათაშვილი (მცხეთის რაიონი), ნ. ა. ფალავანდიშვილი, გ. ო. ბაძგარაძე (ჭიათურა), ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულები ც. რ. გურეშიძე, ვ. მ. ივანიძე (ასპინძის რაიონი), ზ. ღონღაძე, ს. გ. ბაბიანი, ვ. ქეროფიანი, ლ. ა. იორდანოვა, ნ. ზ. ლაბაძე (ახალციხის რაიონი), ა. ა. ლორთქიფანიძე ლ. გ. გიორგობიანი (გარდაბნის რაიონი), თ. მამარდაშვილი (აბაშის რაიონი); ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთაგან ნ. შენგელია, ნ. ჭანტურიძე, ც. ნადარაია (აბაშის რაიონი), დ. ჯინჭარაძე, დ. კობერიძე, დ. ჯოხაძე (ამბროლაურის რაიონი), ს. წულაია, ნ. ხუხუა (გეგეჭკორის რაიონი), ზ. წერეთელი, ა. ბრეგვაძე (თერჯოლის რაიონი), ლ. ხელაძე, მ. წაქაძე, მ. კიკვიძე, მ. დანელია (მაიაკოვსკის რაიონი), ნ. აფრასიმძე (მესტიის რაიონი), ლ. გ. ხობუა, მ. ვ. გელენიძე (წულუკიძის რაიონი).

სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს სტაჟიორმა მასწავლებლებმა, თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულებმა ვ. სენკევიჩმა და ს. კვაშალმა. მათ, მიიღეს რა სოფლის მასწავლებლად დანიშვნის ბრძანებები, სასწავლო წლის დამთავრებისას უმიზეზოდ მიატოვეს სამუშაო და რაიონიდან წავიდნენ. მიუხედავად განათლების განყოფილების მიერ გატარებული ღონისძიებებისა, აღნიშნული მასწავლებლები სამუშაოზე არ დაბრუნებულან.

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში სათანადო ყურადღება არ ეთმობა სტაჟირებთან მუშაობას. მხოლოდ არაერთგზის გაფრთხილების შემდეგ და ისიც არაასრულყოფილი სახით მიიღო განათლების სამინისტრომ მასალები ახმეტის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ხიდნაღის, ყაზბეგის, ყვარლის, წალკის რაიონებიდან. ამ მასალებში არ ჩანს თუ ვინ იყვნენ მიმავრებულნი ახალგაზრდა მასწავლებლებზე, ან როგორ შეფასდა მათი მუშაობა სტაჟირების გავლის შემდეგ. ახალგაზრდა სპეციალისტების ათვიანი სტაჟირების წარმატებით ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის, ა/ო, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქე-

ბის განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს:

1. 1. სისტემატურად შეისწავლონ უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სტაჟირების მდგომარეობა და შედეგები მოახსენონ განათლების სამინისტროს 1 ივლისამდე, ხოლო სასტაჟირო ფურცლები დროზე გადაუგზავნონ შესაბამის ინსტიტუტებს.

1. 2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდისა და თელავის ინსტიტუტებმა საჭირო დახმარება გაუწიონ რესპუბლიკის მეთოდურ კაბინეტებს და სკოლებს ახალგაზრდა სპეციალისტების სტაჟირების სწორად წარმართვის საქმეში. ჩატარებული მუშაობის ანგარიში წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს ყოველწლიურად 1 ივლისისათვის.

2. ეთხოვოს უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელებს, დროულად აცნობონ განათლების სამინისტროს იმ რაიონების შესახებ, რომლებიც უყურადღებოდ, ან დაგვიანებით უგზავნიან მათ სასტაჟირო ფურცლებს.

3. განათლების სამინისტროში მასალების დაგვიანებით წარმოდგენისათვის ბოგდანოვკის, სილნალის, ყაზბეგის, წალკის, ყვარლის, ლენტეხის რაიონების განათლების განყოფილებების გამგეებს (ამხ. ამხ. ს. ჯაგაცხანიანი, რ. ბეჟაშვილი, ი. ჩქარული, ხ. ანასტასოვი, ზ. იოსებაშვილი, ბ. ტვილდიანი) მიეთითოთ.

4. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) განახორციელოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

მინისტრი მ. შინქლაძე



**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1984 წლის
30 მარტის ბ რ ქ ა ნ ე ჯ ა № 221**

1983 წელს ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნის კანონიერების შემოწმების შედეგების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულება-ორგანიზაციებში საგრძნობლად შემცირდა ადმინისტრაციის ინიციატივით სამუშაოდან დათხოვნილ მუშაკთა საერთო რაოდენობა, სამინისტროში თავმოყრილი 1983 წლის მასალებით დასტურდება, რომ ადგილებზე დათხოვნილ მუშაკთაგან სასამართლო ორგანოების მიერ სამუშაოზე აღდგენილთა რიცხვი მინც დიდია.

გასულ წელს რესპუბლიკაში სულ დათხოვნილი 22 მუშაკიდან სასამართლოების მიერ აღდგენილია 14 (63,6%) და მხოლოდ 8-ს ეთქვა უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სამუშაოზე აღდგენილ პირთ აუნაზღაურდათ 2430 მან.

ესოდენ დიდი რაოდენობით სამუშაოზე აღდგენის შესახებ სარჩელების დაკმაყოფილება, როგორც სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებათა ანალიზი ადასტურებს, ძირითადად იმით აიხსნება, რომ ადგილებზე სახალხო განათლების დაწესებულება-ორგანიზაციების, ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი უცოდინარობას ამჟღავნებს შრომის კანონმდებლობის ელემენტარული საკითხებისადმი. ხშირად მუშაკი არსებითად სწორადაა სამუშაოდან დათხოვნილი, მაგრამ კანონის პროცესუალური ნორმების დარღვევის გამო, სასამართლო იძულებულია იგი სამუშაოზე აღადგინოს. ასე მაგალითად, ქ. ბათუმის მე-4 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი ს. ტაბიძე დათხოვნილ იქნა სამუშაოდან სკოლის მუშაობაში არეგ-დარევის შეტანისა და მასწავლებლისათვის შეუფერებელი საქციელისათვის, მაგრამ ბრძანების არასწორად გაფორმებისა და შრომის კანონთა კოდექსის შესაფერის მუხლზე მიუთითებლობისათვის სასამართლომ იგი სამუშაოზე აღადგინა. სასამართლომ ისიც მიიღო მხედველობაში, რომ ს. ტაბიძის დათხოვნაზე თანხმობის მიღების საკითხი ორჯერ დაისვა პროფკომის წინაშე, რომელმაც ორივეჯერ უარი თქვა მის განთავისუფლებაზე. მხოლოდ პროფკავშირის შემდგომი ორგანოს უხეში ჩარევის შედეგად სკოლის პროფკომმა მესამედ განიხილა ეს საკითხი და ხმის უმრავლესობით თანხმობა მისცა ადმინისტრაციას, რითაც უხეშად შეილახა მოქალაქის უფლებები.

ამხ. თ. ბაბალაშვილი, სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, რომელიც ამ სოფლის საშუალო სკოლაში საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების მასწავლებლის თანამდებობას ითავსებდა, მუშაობაში დაშვებული სხვადასხვა გადაცდომისათვის დათხოვნილ იქნა აღმასკომის თავმჯდომარის თანამდებობიდან, რის გამოც განათლების განყოფილებამ იგი მასწავ-

ლებლის თანამდებობიდანაც გაათავისუფლა პროფკომთან შეთანხმების გარეშე, როგორც შეთავსებით მომუშავე მუშაკი, თუმცა ამ მომენტისათვის ის შემთავსებელი მუშაკი აღარ იყო.

3. ი. სიხარულიძე, გ. შ. კეჟევაძე და ს. ს. ბერიძე მანინჯაურის № 1 ბაგა-ბაღში ტექნიკურ მუშაკებად მუშაობდნენ. ბაგა-ბაღის მუშაობის დროებით შეჩერებასთან დაკავშირებით ისინი სამუშაოდან გაათავისუფლეს ისევე პროფკომთან შეთანხმების გარეშე.

სასამართლომ ზემოაღნიშნული სამივე მუშაკი სამუშაოზე აღადგინა, რადგანაც მუშაობის დროებით შეჩერებასთან დაკავშირებით კანონი მუშაკის დათხოვნას არ ითვალისწინებს.

სამინისტროში არსებული მასალებით ირკვევა, რომ ზოგჯერ სახალხო განათლებისა და სკოლის ხელმძღვანელი მუშაკები, არა მარტო თვითონ არღვევენ შრომის კანონებს, არამედ არ ასწორებენ მათ მიერ დაშვებულ და ზემდგომი ორგანოების მიერ გამომუშავებულ შეცდომებს. ასე, მაგალითად, ხულოს რაიონის განათლების განყოფილების გამგის მიერ სოფელ ოქრუაშვილების საშუალო სკოლაში დროებით დაწინიებული ბიბლიოთეკარი სკოლის დირექტორმა ვ. თავართქილაძემ სამუშაოზე არ დაუშვა, სასამართლომ იგი აღადგინა და 75 მან. და 35 კაპ. განაცდურის ანაზღაურება პირადად ვ. თავართქილაძეს დააკისრა.

ქ. ბათუმის საბავშვო სახლის ორი აღმზრდელი ი. კუნჭულია და ი. ყიფიანი სამუშაოდან დათხოვნილ იქნენ შრომის დისციპლინის დარღვევისათვის. აჭარის ასსრ განათლების სამინისტრომ არასწორად ჩათვალა მათი დათხოვნა და ქალაქის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ზ. კომახიძეს დაავალა აღნიშნულ მუშაკთა სამუშაოზე აღდგენა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ეს მითითება არ შეასრულა. საქმე სასამართლომდე მივიდა, რომელმაც ორივე მუშაკი სამუშაოზე აღადგინა.

კასპის რაიონის სოფელ ოკამის საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი შ. ზანგური სამუშაოდან დათხოვნილ იქნა სამუშაოს არასაკმატო მიზეზით გაცდენისათვის, მაგრამ ეს გაცდენა არ დადასტურდა. გარდა ამისა, სასამართლოში დადგინდა განათლების განყოფილების მიერ საქმის განხილვის ვადების დარღვევა, რის გამოც შ. ზანგური აღდგენილ იქნა სამუშაოზე და განაცდური 552 მან. გადასახდელად დაეკისრა განყოფილების გამგის მოადგილეს ამხ. თ. გოგიაშვილს, რამეთუ მან ხელი მოაწერა შ. ზანგურის დათხოვნის ბრძანებას. მაგრამ შემდეგ სასამართლომ გაურკვეველი მიზეზების გამო თავისი გადაწყვეტილება შეცვალა და განაცდურის გადახდა განათლების განყოფილებას დააკისრა.

ხელვაჩაურის რაიონის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი მ. ცინცაძე სამუშაოდან დათხოვნილ იქნა, როგორც დაკავებული თანამდებობისათვის თავისი კვალიფიკაციით შეუფერებელი, თუმცა საატესტაციო კომისიის მიერ იგი აღრე ამ თანამდებობისათვის საფ-

სებით შესაფერისად იყო ცნობილი. სასამართლომ ისიც სამუშაოზე აღადგინა.

ყვარლის რაიონის განათლების განყოფილების ყოფილ გამგეს ამხ. რ. შავგულიძეს კადრების შერჩევის საქმეში დაშვებული უხეში დარღვევებისათვის სამინისტროს კოლეგიამ სასტიკი საყვედური გამოუცხადა და ბოლოს გამგის თანამდებობიდან გაათავისუფლა.

აღსანიშნავია, რომ სულ რესპუბლიკაში ადმინისტრაციის ინიციატივით სამუშაოდან დათხოვნილი 22 მუშაკიდან მხოლოდ აჭარის ასსრ რესპუბლიკაში დათხოვნილია 11 მუშაკი, რომელთაგან აღდგენილია 9 (81,8%).

სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ზოგიერთი დაწესებულება-ორგანიზაციის ხელმძღვანელები გარდა იმისა, რომ თვითონ ვერ ერთკვეციან შრომის კანონმდებლობის ელემენტარულ საკითხებში, არც ცდილობენ, მიიღონ სპეციალისტებისაგან საჭირო კონსულტაცია ამა თუ იმ რთული ხასიათის შრომის საკითხის გადაწყვეტის დროს.

აგრეთვე, განათლების სისტემის ზოგიერთი ორგანოებისა და დაწესებულება-ორგანიზაციების ხელმძღვანელები დიდი დავვიანებით აგზავნიან სამინისტროს მიერ გამოთხოვილ მასალებს სამუშაოდან უკანონოდ განთავისუფლებულ მუშაკთა შესახებ (აჭარის ასსრ და კასპის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება).

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

1. 1. დაუყოვნებლივ აღკვეთონ სახალხო განათლების მუშაკთა სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის ფაქტები და ყოველი მუშაკის განთავისუფლება ყოველმხრივ დაასაბუთონ შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

1. 2. ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკთა დათხოვნის რთულ საქმეებზე ბრძანების გაფორმებაზე საკონსულტაციოდ მიმართონ იურისტ-სპეციალისტებს და მხოლოდ მათი დასკვნის შემდეგ მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება.

1. 3. მკაცრად დასაჯონ სახალხო განათლების დაწესებულება-ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც კანონის დარღვევით, დაუსაბუთებლად ათავისუფლებენ მუშაკებს სამუშაოდან.

1. 4. მიაღწიონ იმას, რომ განაცდური დროის ხელფასის ანაზღაურება დაეკისროს პირადად მათ, ვინც ხელს აწერს მუშაკის სამუშაოდან უკანონო დათხოვნის ბრძანებას, ან განკარგულებას დათხოვნის შესახებ.

2. აჭარის ასრ განათლების მინისტრმა ან. ვ. წულუკიძემ აღნიშნული საკითხი ერთი თვის ვადაში განიხილოს კოლეგიაზე და მკაცრად დასაჯოს განათლების ის ხელმძღვანელები, რომლებმაც შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევით სამუშაოდან დაითხოვეს მუშაკები, რომლებიც სასამართლო ორგანოების მიერ აღდგენილ იქნენ სამუშაოზე. მანვე მიღებული ზომების შესახებ ა/წ. 1 მაისამდე აცნობოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

3. განემარტოთ აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების მინისტრებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგეს, რომ იურიდიული კონსულტაციებისათვის საჭირო საზღაური სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1981 წლის № 23-1-121 მითითების თანახმად შეიძლება გასწიონ თავიანთი ხარჯთაღრიცხვების ფარგლებში და გაატარონ — „სხვადასხვა ხარჯების“ მე-18 მუხლით.

4. ვაფრთხილებ სახალხო განათლების ყველა ხელმძღვანელ მუშაკს, რომ შემდგომში შრომის კანონმდებლობის დარღვევით მუშაკთა დათხოვნისათვის, ან ამ მუშაკთა შესახებ სამინისტროს მიერ გამოთხოვილი მასალების დაგვიანებით გადმოგზავნისათვის მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

5. კადრების სამმართველოს უფროსმა ან. ნ. ვაჩნაძემ და სამინისტროს მთავარმა იურისკონსულტმა ან. ვ. კველავამ მკაცრი კონტროლი დააწესონ სახალხო განათლების მუშაკთა სამუშაოდან კანონის სრული შესაბამისობით დათხოვნის საქმეზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1984 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება.

მინისტრი ო. ქიქლაძე

ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

О результатах проверки законности освобождения работников с работы в 1983 году по инициативе администраций

30 марта 1984 года, № 221

